MES 7 23 0001099882

07/09/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 25 აგვისტო 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/4206767574?pwd=SVZyTFRqVnlhcjlTdlRoR0lQUEpqQT09

Meeting ID: 420 676 7574
Passcode: 551069

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- მანანა მახარაშვილი
- ვერიკო ჭიღლაძე
- ლევან მადათოვი
- ალექსანდრე კეკენაძე
- ხათუნა ჩომახიძე
- გიორგი ნაჭყეპია
- ხათუნა მაისაია
- ქეთევან ღვანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "ახალ ტალღა“
დირექტორი - ირმა მეგრელიძე
დირექტორის მოადგილე - კახა ბოლქვაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნათია ევგენიძე

სსიპ - კოლეჯი "მოდუსი“
დირექტორი - ნინო ქავთარაძე
დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით - მაია დალაქიშვილი
დირექტორის მოადგილე ეკონომიკური მიმართულებით - დიანა გოშაძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - მადონა გოგობერიშვილი

„შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“
დირექტორი - სოფიო მაჭარაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ალინა კუპრავა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - ნინო თამაზაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და

აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ დაბა ხულოში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში ,,ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში "საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ საჩხერეში ,,საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ საჩხერეში ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ დაბა ხულოში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებ დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მახარაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ქობულეთის და დაბა ხულოს ლოკაციებზე განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, პსდ ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობისა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში", 2023 წლის 11 ივლისს ქ. ქობულეთის ლოკაციაზე და 2023 წლის 12 ივლისს დაბა ხულოს ლოკაციაზე, განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტები, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ. ა) და ე) ქვეპუნქტის ე. ა) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. მონიტორინგის წინაპირობა იყო, დაწესებულების ავტორიზაციის ვიზიტის ადმინისტრაციული წარმოებისას გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით, რომელიც წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ, შეფასებული იქნა როგორც „მეტწილი შესაბამისობა“. შემოწმება განხორციელდა წინასწარ შედგენილი განრიგის შესაბამისად, რომელიც გარდა ვიზუალური შეფასებისა, მოიცავდა კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებას. შემოწმებისთვის კოლეჯის მხრიდან სრულად იყო უზრუნველყოფილი პირობები, რათა ექსპერტთა მიერ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად წარმართულიყო მონიტორინგის პროცესი. შეფასების შედეგად დადასტურდა კოლეჯის საქმიანობისა და დოკუმენტაციის შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ. ა) და ე) ქვეპუნქტის ე. ა) კომპონენტებთან. დაწესებულების მიერ შესაბამისობის რეკომენდაციები შესრულებულია საბჭოს მიერ განსაზღვრულ და პსდ-ს გეგმით დადგენილ ვადებში. განხორციელებული ვიზიტების საფუძველზე, ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილს არ იზიარებს დაწესებულება (არგუმენტირებული პოზიციის შესახებ დაწესებულების 2023 წლის 4 აგვისტოს კორესპონდენცია MES 8 23 0000964252). დაწესებულების მიერ, რეკომენდაციებთან დაკავშირებულ, წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება და კვლავ ტოვებს გაცემულ რეკომენდაციებს.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდებოდა 37 პროგრამა, პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსი ჰქონდა 864 პირს და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ირიცხებოდა 69

მსმენელი. რაც შეეხება დაბა ხულოს, ვიზიტის პერიოდისთვის ფილიალში ხორციელდებოდა 6 საგანმანათლებლო პროგრამა: „სატყეო საქმე“, „ვეტერინარია“, „მეფუტკრეობა“, „სასტუმროს მომსახურება“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“. საერთო კვოტით 175 პროფესიული სტუდენტი.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (დაბა ხულოს და ქ. ქობულეთის ლოკაცია)

შესაბამისობის რეკომენდაციები ეხებოდა მე-4 და მე-5 სტანდარტების შემდეგ ინდიკატორებს:

4.1.1. (1) – „დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და დაწესებულების სტრუქტურა. ასევე, შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რასაც ითვალისწინებს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ - **რეკომენდაცია შესრულებულია.** წარმოდგენილია ახალი სტრუქტურული სქემა (დეტალური აღწერა იხ. ქვ. ინდიკატორი)

4.1.1.(1). დაწესებულების მართვის სისტემა აგებულია პროცესულ მიდგომაზე. მიდგომიდან გამომდინარე, დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები. შიდა რეგულაციებში იდენტიფიცირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები და ქვეპროცესები, მართვის თავისებურებები და მოთხოვნები. განსაზღვრულია პროცესების მართვაზე პასუხისმგებელი პირები, შემუშავებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები, განსაზღვრულია მათი ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები. **რეკომენდაცია შესრულებულია.** წარმოდგენილია ახალი სტრუქტურული სქემა და სამუშაო აღწერილობები (დეტალური აღწერა იხ. ქვ. ინდიკატორი)

5.1.2. (1) – „დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება“ - **რეკომენდაცია შესრულებულია** - დაწესებულების მიერ აღმოფხვრილია სპეციალური სამსახურის მიერ გაცემული ყველა მითითება. საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მოწყობილია ერთიანი სახანძრო-საევაკუაციო სისტემა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემულია დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

ექსპერტის განცხადებით, ორივე ლოკაციაზე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტრუქტურული სქემა, რომელიც წარმოდგენილია პროცესებისა და პოზიციების, ასევე დამხმარე მომსახურებების (პროცესების) მითითებით, მათ შორის სქემაზე მითითებულია საშტატო ერთეულებიც. დოკუმენტით განსაზღვრულია ერთადერთი სტრუქტურული ერთეული - ფინანსური განყოფილება. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ერთიანი მიდგომა და სტრუქტურაზე გამოსახოს მხოლოდ პროცესები და ქვეპროცესები შესაბამისი პოზიციების მითითებით, ისე, როგორც ეს ფაქტობრივად აქვს სქემაზე. დაწესებულებას არ აქვს სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრული, სქემა ძირითადად აგებულია პროცესებისა და პოზიციების ურთიერთკავშირით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტი მოიცავს ყველა პროცესის/ქვეპროცესის აღწერა- დახასიათებასა და მართვის მექანიზმებს მ.შ. ფინანსური განყოფილების ნაწილში (პროცესი ფინანსური რესურსების მართვა). ამავე დოკუმენტით, ინტერესთა კონფლიქტის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. პროცესებისა და ქვეპროცესების მართვაში ასევე ჩართული საშტატო განრიგით გაწერილი ერთეულები - სპეციალისტები, კოორდინატორები. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება სარგებლობს გარე მომსახურებით. პსდ-ს მიერ სულ წარმოდგენილი იყო 54 სამუშაო აღწერილობა, მათ შორის 6 დაბა ხულოს ფილიალის პერსონალის. დოკუმენტი მოიცავს პოზიციის მიზნის ფორმულირებას. მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრულია ფუნქცია-მოვალეობები. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტებში ზოგადია ასევე ჩანაწერი

სამუშაო პირობების შესახებ, რაც ფაქტობრივად შინაგანაწესის პუნქტების ამონარიდია - „კანონმდებლობის დაცვით დასაქმებულისათვის უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხო გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით“. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის სპეციფიკური ცოდნა, თუმცა ხშირად ზოგადი ფორმულირებით. შეფასებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ პსდ-ს პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. პირადი საქმეების შესწავლითა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტამდე შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი სამუშაო აღწერილობები, სადაც ასევე განსაზღვრულია პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ჯამში ხულოსა და ქობულეთის ლოკაციების პერსონალისთვის 54 სამუშაო აღწერილობა). საკვალიფიკაციო მოთხოვნების შინაარსი ზოგადია და არა კონკრეტული. მაგალითად ხშირ შემთხვევაში განათლებაში მითითებულია უმაღლესი ან პროფესიული განათლება, მაგრამ არაა კონკრეტული კვალიფიკაცია ან/და ხარისხი მითითებული, ანალოგიურადაა გაწერილი სამუშაო გამოცდილებაც, მაგ. IT ადმინისტრატორისთვის მითითებულია „სამუშაო გამოცდილება IT სფეროში“.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - (ქ. ქობულეთი)
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სწავლო პროცესის წარმართვისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი აქვს: 24 ერთეული A სასწავლო გარემო, 17 ერთეული B სასწავლო გარემო და 24 ერთეული C სასწავლო გარემო. სასწავლო გარემოების გარდა, დაწესებულებაში გამოყოფილია ფართი ბიბლიოთეკისთვის (წიგნსაცავი, სამკითხველო, ჯამში 22 სამუშაო ადგილით), ასევე კაბინეტები ადმინისტარციული პერსონალისთვის (16 ერთეული) და მასწავლებლებისთვის (3 ერთეული), პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის, არქივისთვის, შეხვედრებისა და საკონფერენციო სივრცეები (3 ერთეული), სპორტული დარბაზი (271, 9 კვ. მ) და მოედანი, საწყობი, საქვაბე. პროფესიული სტუდენტებისთვის რეკრეაციული სივრცეები (შენობის შიდა სივრცეები და პსდ-ს ეზო), სტუდენტური კაფე, საერთო საცხოვრებელი. აზომვითი ნახაზების მიხედვით, პსდ-ს ფოიეს საერთო ფართი ჯამში 540.9 კვ. მ-ს შეადგენს. დაწესებულების შენობა-ნაგებობების ყველა სართულზე არის გამიჯნული სანიტარული წერტილები ქალებისა და მამაკაცებისთვის, ასევე ადაპტირებული წერტილები შშმ პირებისთვის (ჯამში 23 ერთეული). სამუშაო კაბინეტები, სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, მოწყობილობა-დანადგარებითა და კომპიუტერული ტექნიკით. პსდ-ს მფლობელობაშია სატრანსპორტო საშუალებები (5 ერთეული). შშმ პირების შეუზღუდავად გადაადგილების მიზნით, მოწყობილია შენობებში შესასვლელი პანდუსები, ხოლო შიდა სივრცეში გადაადგილების მიზნით დამონტაჟებულია ლიფტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა ვიზუალური შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ პსდ იცავს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეებში (განსაკუთრებული აქცენტები კეთდება შენობა-ნაგებობების შიდა სივრცეებზე) სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტის განცხადებით, „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს, არ მოიცავს, შრომის უსაფრთხოების კოდექსით განსაზღვრულ ყველა

მითითებას, თუ რას უნდა მოიცავდეს დაწესებულების მიერ ამ მიზნით შემუშავებული შიდა რეგულაცია. ასევე, არ ყოფილა წარმოდგენილი დაწესებულებაში რისკების შეფასებისა და გასატარებელი ღონისძიებების გეგმა. გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები. რესურსების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ინფორმაცია ასახულია წლიურ ანგარიშებში. აღნიშნული ასევე, დასტურდება ფინანსური ანგარიშებით, გაწეული ხარჯების მაჩვენებლებით. პსდ-ს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები და ბიბლიოთეკის მუშაობის პროცედურები.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციებიც, კერძოდ:

4.1.1.(1) და 4.1.2. (3) - დაკონკრეტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უფრო ეფექტურს გახდის პერსონალის მართვის პროცესებს, ასევე ეფექტურს გახდის პერსონალის შერჩევა-შეფასებას, როგორც შიდა, ისე გარე შემფასებლების მიერ შემოწმების პროცესს. სამუშაოს აღწერილობებზე უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის რეკვიზიტები და ერთი ეგზემპლარი გადაეცეს დასაქმებულს. დოკუმენტების სამუშაო აღწერილობებზე სრულყოფის მიზნით, თითოეული პოზიციისთვის იდენტიფიცირდეს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო პირობები/მოთხოვნები და რისკები.

4.1.1.(3) - დაწესებულებამ გაიზიაროს და დანერგოს ხარისხის სისტემის მართვის შიდა შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს კალენდარული წლის (საანგარიშო პერიოდში) დაწესებულების ყველა პროცესის, მათ შორის ხარისხის მართვისა და ხარისხის მართვის მენეჯერის საქმიანობის, სისტემატურ მიუკერძოებელ შიდა შეფასებასა და პროცესების გაუმჯობესებას.

5.1.1. (3) - ჯვარედინი დაბინძურების და სხვადასხვა ინფექციის თავიდან არიდების, ასევე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პსდ-მ შეიმუშაოს დასალაგებელი სივრცეების სპეციფიკისა და სან-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების რიგითობის, ინვენტარის ნიშანდების, მოვლა-გამოყენების, საყოფაცხოვრებო ქიმიის უსაფრთხო გამოყენების წესების მითითებით სამუშაო ინსტრუქციები.

- პსდ-მ უზრუნველყოს ნარჩენების მართვის, მათ შორის სეპარირებულად შეგროვების, კარგი პრაქტიკის დემონსტრირება-დანერგვა როგორც პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან, ისე თემთან. იტვირთოს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის ინფორმაციის/ცოდნის გამავრცელებლის როლი კარგი პრაქტიკის დემონსტრირებით

5.1.1. (5) - შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, პსდ-მ იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ მასში სრულად აისახოს, თანმიმდევრული და პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს.

- დანერგოს რისკების მართვის პრაქტიკა, ასევე შეიმუშაოს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით მათი შესრულების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს რისკებისა და საწარმოო შემთხვევების მინიმიზაციას, ამასთან გაზრდის შრომის უსაფრთხოების ეფექტურობას.

- გამკაცრდეს კონტროლი დარგობრივ კაბინეტებში უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის მიზნით. დარგობრივი კაბინეტების პერსონალმა სისტემატურად უზრუნველყოს კაბინეტებში სანიმუშო საწარმოო სანიტარიისა და წესრიგის დაცვა/დემონსტრირება, რაც არა მხოლოდ საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების დაცვას შეუწყობს ხელს, არამედ პროფესიულ სტუდენტებში აღიშნული ღირებულების ჩამოყალიბებას.

5.1.2 (1) - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების გარდა, ხარისხის მართვის პრინციპმა

(„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“) მოიცვას ყველა ძირითადი და დამხმარე, მათ შორის, მათი თანმდევი ქვეპროცესებიც.
- ლიფტების მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის №446 დადგენილებით („ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 31.12.2013) და უზრუნველყოს ლიფტების მომსახურება და ექსპერტიზა, დადგენილი პერიოდულობით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - (დაბა ხულო)
ექსპერტის განცხადებით, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი აქვს აუდიტორიები ინდივიდუალურად პროგრამებისთვის, გარდა მეფუტკრეობისა და სატყეო საქმის პროგრამებისა, რომლებისთვისაც გამოყოფილია ერთი აუდიტორია. საგანმანათლებლო პროგრამები: სასტუმროს საქმე, მეფუტკრეობა, სატყეო საქმე, ინფორმაციული ტექნოლოგია ხორციელდება A/C ტიპის სასწავლო გარემოში, ვეტერინარიისთვის გამოყოფილია - A გარემო, ელექტროობისთვის A და C სასწავლო გარემოები, ინფორმაციული ტექნოლოგიისთვის A/B სასწავლო გარემო. ზოგადი მოდულის, „ინფორმაციული წიგნიერების“ განხორციელების მიზნით გამოყოფილია ცალკე B სასწავლო გარემო. ჯამში საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილია 7 აუდიტორია. სასწავლო გარემოს გარდა, დაწესებულებაში გამოყოფილია ფართი ბიბლიოთეკისთვის (ოთახი) - 6 სამუშაო ადგილით და 2 კომპიუტერით. ასევე კაბინეტები ადმინისტარციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. პროფესიული სტუდენტებისთვის რეკრეაციული სივრცე. ორივე სართულზე არის გამიჯნული სანიტარული წერტილები ქალებისა და მამაკაცებისთვის, ასევე ადაპტირებული წერტილები შშმ პირებისთვის. სამუშაო კაბინეტები, სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, მოწყობილობა-დანადგარებითა და კომპიუტერული ტექნიკით. შშმ პირების შეუზღუდავად გადაადგილების მიზნით, მოწყობილია შენობაში შესასვლელი პანდუსი, ხოლო შიდა სივრცეში გადაადგილების მიზნით დამონტაჟებულია ლიფტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა ვიზუალური შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ პსდ იცავს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეებში (განსაკუთრებული აქცენტები კეთდება შენობა-ნაგებობების შიდა სივრცეებზე) სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. შეფასებისა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი მდგომარეობით პსდ-ში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელექტრონული სახელმძღვანელოები“) და ბიბლიოთეკის მუშაობის პროცედურები („დებულება“, „ბიბლიოთეკაში ქცევის წესები“). პროცედურები განთავსებულია ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, თვალსაჩინო ადგილზე. შეფასების შედეგად დასტურდება, რომ პსდ-ში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ფინანსური განყოფილების ნაწილში (პროცესი ფინანსური რესურსების მართვა). ამავე დოკუმენტით, ინტერესთა კონფლიქტის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. პროცესებისა და ქვეპროცესების მართვაში ასევე ჩართული საშტატო განრიგით გაწერილი ერთეულები - სპეციალისტები, კოორდინატორები.

რესურსების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ინფორმაცია ასახულია წლიურ ანგარიშებში. აღნიშნული ასევე დასტურდება ფინანსური ანგარიშებით, გაწეული ხარჯების მაჩვენებლებით.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციებიც, კერძოდ:

4.1.1.(1) და 4.1.2. (3) - დაკონკრეტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უფრო ეფექტურს გახდის პერსონალის მართვის პროცესებს, ასევე ეფექტურს გახდის პერსონალის შერჩევა-შეფასებას, როგორც შიდა, ისე გარე შემფასებლების მიერ შემოწმების პროცესს. სამუშაოა აღწერილობებზე უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის რეკვიზიტები და ერთი ეგზემპლარი გადაეცეს დასაქმებულს. დოკუმენტების სამუშაო აღწერილობებზე სრულყოფის მიზნით, თითოეული პოზიციისთვის იდენტიფიცირდეს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო პირობები/მოთხოვნები და რისკები.

4.1.1.(3) - დაწესებულებამ გაიზიაროს და დანერგოს ხარისხის სისტემის მართვის შიდა შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს კალენდარული წლის (საანგარიშო პერიოდში) დაწესებულების ყველა პროცესის, მათ შორის ხარისხის მართვისა და ხარისხის მართვის მენეჯერის საქმიანობის, სისტემატურ მიუკერძოებელ შიდა შეფასებასა და პროცესების გაუმჯობესებას.

5.1.1. (3) - ჯვარედინი დაბინძურების და სხვადასხვა ინფექციის თავიდან არიდების, ასევე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პსდ-მ შეიმუშაოს, დასალაგებელი სივრცეების სპეციფიკისა და სან-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების რიგითობის, ინვენტარის ნიშანდების, მოვლა-გამოყენების, საყოფაცხოვრებო ქიმიის უსაფრთხო გამოყენების წესების მითითებით, სამუშაო ინსტრუქციები.

5.1.1. (5) - შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, პსდ-მ იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ მასში სრულად აისახოს, თანმიმდევრული და პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის სასწავლო/საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს.

- დანერგოს რისკების მართვის პრაქტიკა, ასევე შეიმუშაოს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით მათი შესრულების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს რისკებისა და საწარმოო შემთხვევების მინიმიზაციას, ამასთან გაზრდის შრომის უსაფრთხოების ეფექტურობას.

5.1.2 (1) - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების გარდა, ხარისხის მართვის პრინციპმა („დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“) მოიცვას ყველა ძირითადი და დამხმარე, მათ შორის, მათი თანმდევი ქვეპროცესებიც.

- ლიფტების მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის №446 დადგენილებით („ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 31.12.2013) და უზრუნველყოს ლიფტის მომსახურება/ექსპერტიზა, დადგენილი პერიოდულობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და დაეთანხმა ექსპერტების მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს. 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო „სსიპ“ და გადაწყვეტილებას მარტივად ვერ იღებდა, ვინაიდან სჭირდება სამინისტროსთან შეთანხმება. მთელი წლის განმავლობაში, წინა ავტორიზაციის საბჭოს სხდომიდან, როცა განისაზღვრა ხარვეზის გამოსწორების პერიოდი, კოლეჯი მუშაობდა ინტენსიურად სამინისტროსთან და

უნარების სააგენტოსთან ერთად. რაც შეეხება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ პროფესიული განათლება არის სპეციფიკური და სხვა სფეროდან მოსული ადამიანისთვის მორგებას სჭირდება გარკვეული პერიოდი, თუმცა ახალი ვაკანსიის გამოცხადების დროს შესაძლებელი იყო დაკონკრეტება იმ მიმართულების, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდით კონკრეტული საშტატო ერთეულისთვის. მისი თქმით, დოკუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაციები, კოლეჯს ჰქონდა საქმისწარმოების ერთიანი სისტემა, სადაც ყველა დოკუმენტი ეწერებოდა პერსონალს ელექტრონულად, შესაბამისად, კოლეჯმა არ ჩათვალა საჭიროდ, რომ ფიზიკური ხელმოწერა საჭირო იყო დოკუმენტაციაზე. სამუშაო აღწერილობის დანართი არის ხელშეკრულების დანართი, ამიტომ როცა ხელშეკრულებაზე ხელს აწერ, პარალელურად კითხულობ სამუშაო აღწერილობასაც, თუმცა დაწესებულება ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას ხელმოწერასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ნარჩენებს და არეულობას, კოლეჯში იყო შრომის ინსპექტირება და ასეთი ღრმა რეკომენდაციები იმათაც კი არ მოუციათ. კოლეჯს ხშირად აუდიტიც ამოწმებდა და ხდებოდა ნარჩენების ჩამოწერაც. აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით დაწესებულებას ფართის პრობლემა ჰქონდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რამდენიმე პროგრამა დასრულდა და ვერ მოხერხდა ნარჩენების შესაბამის ადგილზე განლაგება. დღესდღეობით დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ადგილი, სადაც ეს ნარჩენებია განთავსებული. რაც შეეხება ლიფტებთან დაკავშირებით, კოლეჯს გაუჭირდა ისეთი კომპანიის მოძიება, რომელიც აღნიშნულ მომსახურებას გაუწევდა, თუმცა ერთი კომპანიის მოძიება მაინც მოხერხდა და მათთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მონიტორინგი ხდება 5.1 სტანდარტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნინო ველთაურმა, მიმართა ექსპერტს კითხვით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით. ნინო ველთაურმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ჩანაწერი იყო ძალიან ზოგადი და ფართო, ამავე დროს ადასტურებდნენ იმას, რომ შერჩეული პერსონალი, რომელიც მუშაობდა დაწესებულებაში და უძღვებოდა სასწავლო პროცესებს, იყო კვალიფიციური, რაც ნიშნავდა იმას, რომ შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია იყო სტანდარტის შესაბამისი. რა რისკები დაინახა ექსპერტებმა იმაში, რომ აღნიშნული ჩანაწერები ასეთი ზოგადი სახით დარჩეს. აღნიშნულის ფონზე ხომ არ თვლიდა ექსპერტი, რომ შესაძლებელი იყო დაწესებულებას დაექირავებინა არასაკმარისად კვალიფიციური კადრი.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ მოხდა კომპეტენტური კადრების შეფასება, იმიტომ, რომ ამ კადრებს ჰქონდათ სამუშაო გამოცდილება და დაწესებულებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებაც, თუმცა სასურველი იყო აღნიშნული კომპეტენციის იდენტიფიცირება მომხდარიყო იმიტომ, რომ აღნიშნული კომპეტენცია თვითონ დაწესებულებამ უნდა დაადგინოს. ვიზიტის პერიოდში იყო ვაკანსია (ხულოს სტუდენტური სერვისის სპეციალისტი) გამოცხადებული და 2023 წლის 4 აგვისტომდე იდო ვებგვერდზე, სადაც მოთხოვნებში განსაზღვრული იყო ბაკალავრის ხარისხი და ჩამოთვლილი იყო მხოლოდ ფუნქციები აღნიშნული სამუშაოს აღწერილობიდან, შესაბამისად, არ იყო არანაირი კონკრეტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში და დაბა ხულოში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ (ს/კ: 246954620) ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში“ (ს/კ: 246954620) დაბა ხულოში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მესამე საკითხი: სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 5 ივლისის ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 18 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ , (ქ. რუსთავში, ჟ. შარტავას. გამზ. №4) „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის ,,ბ.ბ” კომპონენტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით (მონიტორინგი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმი, რომელზეც საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ჩანიშნულ იქნა მონიტორინგი. ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარს და სხვა პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერებულ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ შეფასების ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა. შესრულებულია სრულად. კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში შეძენილ იქნა აღჭურვილობა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევა პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია, A/B გარემო და C გარემო - ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“. ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 21 პროფესიული მასწავლებელი, აქედან, 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი, მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წინა ვიზიტის ფარგლებში მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია. როდესაც დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად გაიარა საკითხი იმის შესახებ, თუ რა აღჭურვილობა სჭირდებოდა პროგრამას, მისგან წამოვიდა ის აზრი, რომ A/B გარემოში ყოფილიყო თითო სტუდენტისთვის ორი მონიტორი. მისი თქმით, მონიტორინგების სიმრავლე ერთგვარად წინ გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა, ვინაიდან კვოტის გაზრდის შემთხვევაში აღნიშნული რესურსი უკვე მომარაგებული ექნებოდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელებული მონიტორინგის შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ "მოდუსში"(ს/კ:216350829) "ვებტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეოთხე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 15 ივნისს გამოცემული ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2023 წლის 29 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 150-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 143 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს ქვეყანაში კადრების დეფიციტი, საკანონმდებლო მოთხოვნები, რომელიც ყველა დაწესებულებას ავალდებულებს ჰყავდეთ აღნიშნული სპეციალისტები და შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ,

დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 30, ჯამში 180 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ შეფასების ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტ ექნოლოგიები“.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ქ. თბილისი წერონისის ქ. 208-ში სასწავლო გარემო 2 A (აუდიტორია N1, 9) 30 პროფესიული სტუდენტისთვის აღჭურვილი, რომლის გამოყენებაც იგეგმება 2 ცვლიანი რეჟიმით, სასწავლო გარემო A/C (აუდიტორია N3) ასევე 30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი და სასწავლო გარემო B (აუდიტორია N16). პრაქტიკის განხორციელებისთვის ორგანიზაციებს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, კერძოდ: შპს “იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი”, შპს „კერა ქონსტრაქშენი“, შპს „შრომის უსაფრთხოების ცენტრი“, შპს „სანიტარი“, შპს“ მეგა ჰოლდინგი“. ერთდროულად ჯამში პრაქტიკის ობიექტებს შეუძლიათ ერთდროულად მიიღოს 167 პროფესიული სტუდენტი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (180) გათვალიწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 45 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, მათგან 31 მათგანი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს, ხოლო 14 მათგანი კი ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირია. მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს პროფესიონალიზმისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) ქალაქ თბილისში დანართით განსაზღვრულ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 180 -ით **(დანართი 1).**

მეხუთე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში ,,ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველი საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 5 ივლისს გამოცემული ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2023 წლის 13 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 80, ამ ეტაპზე არაინტეგრირებულ პროგრამაზე აქტიურია 30 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე 45 პროფესიული სტუდენტი, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს ქვეყანაში კადრებზე არსებული გაძლიერებული მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 40, ჯამში 120 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას, მათგან 90 პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლებისთვის.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ვებტექნოლოგიების“ შეფასებისას, ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში შექმნილია სასწავლო-საწარმო http://www.wds.ge/, რომლის

მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/კურსდამთავრებულების და პროფესიული მასწავლებლების ინოვაციური და სამეწარმეო უნარების და იდეების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, დარგის ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური მეთოდების შემუშავებისა და მისი სასწავლო პროცესში შემდგომში დანერგვა, ინოვაციებთან და მეწარმეობასთან დაკავშირებული მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესის ხელშეწყობა. აღნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსებულია სტუდენტების, კურსდამთავრებულების მიერ შექმნილი ვებ-გვერდები, სადაც გამოყენებული აქვთ როგორც პროგრამული, ასევე გრაფიკული დიზაინის კომპონენტები. აღნიშნული ნამუშევრები წარმოადგენს ერთგვარ პორთფოლიოს და დაინტერესებულ პირებს, დამსაქმებლებს შესაძლებლობა აქვთ ნახონ სტუდენტების მიერ შესრულებული მზა პროდუქტი. სასწავლო საწარმოში გაწევრიანებული არიან პროფესიული სტუდენტები. აღნიშნული სასწავლო-საწარმოს ფარგლებში აკადემიის პროფესიულმა სტუდენტებმა, მასწავლებლის ჩართულობით სკოლების ავტორიზაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით, ორ საჯარო სკოლას სრულიად უსასყიდლოდ გაუკეთეს ვებგვერდები, რისთვისაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მიიღეს მადლობის წერილები:

1. ვანის სკოლა - https://www.vani1.edu.ge/
2. საჩხერის სკოლა - http://www.wds.ge/2-sachkhere-school/

პროფესიული სტუდენტები ამჟამად მუშაობენ კერძო შეკვეთაზე (საბუღალტრო კომპანია). აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში შეიქმნა ეკო-კლუბი ,,Kadupul Flower", რომლის მიზანია ყველა სტუდენტისთვის, მისი შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი უნარების, განათლების მიღების, სამეცნიერო, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების განვითარება. კლუბში გაწევრიანებულია პროფესიული სტუდენტები, მათ შორის „ვებტექნოლოგიების“ ინტეგრირებული პროგრამის სტუდენტები, რომლებიც აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში, რომლის მიზანია გარემოსდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და ფართო საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი გამოწვევების, გადაწყვეტებისა და ინიციატივების წარმოჩენა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტის განცხადებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ვებტექნოლოგიები“ ახორციელებს 2021 წლიდან და დღემდე. პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 80 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 60 ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით. გამომდინარე გაზრდილი მოთხოვნიდან, დაწესებულების მიერ გაკეთებული იქნა განაცხადი აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 120 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდის მიზნით, მათ შორის 90 ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის განხორციელების უზრუნველსაყოფად მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნა სასწავლო აუდიტორიების შესაბამისობაში მოყვანა მოთხოვნილი კვოტების ფარგლებში. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შემდეგი სასწავლო გარემოები: B გარემო 1 (ზოგადი მოდული), აღჭურვილია 20 პროფესიულის სტუდენტისთვის სრულად სასწავლო და კომპიუტერული ინვენტარითა და დემონსტრირების ციფრული ტექნიკით. B გარემო 1 და 2 (დარგობრივი C ვებტექნოლოგიებისათვის), აღჭურვილია 30 და 20 პროფესიულის სტუდენტისთვის სრულად სასწავლო და კომპიუტერული ინვენტარითა და დემონსტრირების ციფრული ტექნიკით, რომელშიც გათვალისწინებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მოდულების სწავლებისთვის.

სააუდიტორიო დატვირთვის მიხედვით იგი საშუალოდ 40 %-ით იტვირთება ერთ ცვლაში, შესაძლებელია აღნიშნული გარემოს გამოყენება 2 ცვლიანი რეჟიმით. B გარემო 2 გამოიყენება მიმდინარე ინტეგრირებული პროგრამის იმ პროფესიულ სტუდენტთათვის, რომლებიც არიან სწავლების მე-3 წელზე, გარემოს საშუალო კვირეული დატვირთვა სადიპლომო პროგრამის ფარგლებში 15 საათი; AC გარემო ინტეგრირებული მოდულების მეცნიერება და ტექნოლოგიები განხორციელებისათვის, აღჭურვილია 30 პროფესიულის სტუდენტისთვის სრულად სასწავლო ინვენტარით, ინტეგრირებული მოდულების სასწავლო აღჭურვილობითა და დემონსტრირების ციფრული ტექნიკით. A გარემო აუდიტორია N12 ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის ასევე აღჭურვილი 30 პროფესიული სტუდენტისთვის, დატვირთულია საშუალოდ 45-50%, შესაძლებელია აღნიშნული გარემოს გამოყენება 2 ცვლიანი რეჟიმით.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 43 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, მათგან 19 მათგანი ახორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს, 15 მათგანი ზოგად მოდულებს, ხოლო 7 მათგანი კი პროფესიულ მოდულებს, პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ხომ არ გეგმავდა კოლეჯი კიდევ სხვა ტიპის სასწავლო საწარმოს გაკეთებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯი ცდილობს, რომ სხვა მიმართულებითაც განვითარდეს და გააკეთოს სასწავლო საწარმო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი ტიტე ბოლქვაძე დაინტერესდა, თუ რამდენად იყო დაწესებულების ვებგვერდი გამართული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დარგის ექსპერტმა შეამოწმა აღნიშნული ვებგვერდი და რასაც სტანდარტი ითხოვდა, ყველაფერი განთავსებული იყო. კოლეჯს უკვე ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ახალ ორგანიზაციასთან და ოქტომბრის თვეში მოხდებოდა ვებგვერდის განახლება და დახვეწა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული საუკეთესო გამოცდილების პრაქტიკა, რომელიც სასწავლო საწარმოს შექმნას ეხედობა, ძალიან მნიშვნელოვანია და კარგი იქნედობა, რომ აღნიშნული გამოცდილება სხვა დაწესებულებებასაც გაეზიარებინა. მან ასევე აღნიშნა, რომ ზოგადად, საბჭოს სხდომებზე ბევრი საინტერესო საუკეთესო გამოცდილების მაგალითები განიხილება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, ხომ არ იფიქრებდნენ ექსპერტების მიერ სხვადასხვა საქმის წარმოების პროცესში დაფიქსირებული საუკეთესო გამოცდილების მაგალითების ანალიზზე და შემდგომ, სხვა დაწესებულებებისთვის

და დაინტერესებული პირებისთვის შედეგების გაცნობაზე შეხვედრის/ ვორკშოფის/კონფერენციის ან რომელიმე ფორმატის ფარგლებში. ეს საშუალებას მისცემდა სხვა დაწესებულებებსაც გაეცნოთ და გაეზიარებინათ საუკეთესო გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში ,,ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) ქალაქ თბილისში დანართით განსაზღვრულ ,,ვებტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით **(დანართი 2).**

მეექვსე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში "საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მეშვიდე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ საჩხერეში ,,საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების

მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებ დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 15 ივნისს გამოცემული ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლების" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2023 წლის 30 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ქ. თბილისი, წერონისის N208 - ში, ასევე, იგივე პროგრამის ფარგლებში „საექთნო საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ 2023 წლის 7 ივლისს, წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ. საჩხერეში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საექთნო განათლების" სტუდენტთა რაოდენობა ქ. თბილისი, წერონისის N208 ლოკაციაზე განსაზღვრულია 84-ით, მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 76 პროფესიული სტუდენტი. რაც შეეხება ქ. საჩხერის ლოკაციას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლების" სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 63-ით. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ორივე ლოკაციაზე, "საექთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს ექთნების მწვავე დეფიციტი, რომელიც კვლავ რჩება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. 2023 წლის საუკეთესო სამუშაო

ადგილების სია US News-მა შეადგინა World Report-თან ერთად, მუშახელის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით მაღალია კადრებზე მოთხოვნა და დასაქმების მაჩვენებელი ექთნის პროფესიაზე. ასევე, პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, ქ. თბილისი, წერონისის N208 ლოკაციაზე დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 84, ჯამში 168 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. საკითხი უფრო მძიმედ დგას რეგიონებში. შორეულ და სოფლად დასახლებულ პუნქტებში სამუშაოდ პერსონალის დაქირავება და შენარჩუნება მნიშვნელოვანი პრობლემად რჩევა და სამედიცინო პერსონალის მარაგთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა ცხადყოფს შეუსაბამობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრის მომზადება იმისათვის, რომ აღდგეს ბალანსი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მიწოდებას შორის. ვინაიდან პროფესიული განათლება არის ყველაზე სწრაფი და მოქნილი გზა დასაქმებისაკენ. მიზანშეწონილია ამ მიმართულებით მომზადდეს უფრო მეტი კადრი. აღნიშნული მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ, ვინაიდან საექთნო საქმე შესულია პრიორიტეტულ მიმართულებებში და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას ქ. საჩხერის ლოკაციაზე გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 63, ჯამში 126 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ შეფასებისას ორივე ლოკაციაზე ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ (ქ. თბილისის ლოკაცია)
ექსპერტის განცხადებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“ ახორციელებს 2019 წლიდან დღემდე. პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 84 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ, სამედიცინო მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილებისა (პრაქტიკოსი ექთანი, საექთნო განათლება), სამედიცინო დაწესებულებებთან წარმატებული თანამშრომლობისა და საკუთარი მატერიალურტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსებისა და სასწავლო რესურსების შეფასების საფუძველზე, გადაწყვიტა გაზარდოს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 84 პროფესიული სტუდენტით (ერთ მიღებაზე ორი 28-28 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფის სწავლების პირობით, სულ წელიწადში 56 პროფესიული სტუდენტის, რაც სამი წლის მანძილზე იქნება 168 პროფესიული სტუდენტი). ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯს ქ. თბილისში, წერონისის ქ. 208-ში საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი A № 14 სასწავლო გარემო (28 პროფესიულ სტუდენტზე), ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ორ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი რაოდენობა. AC № 17 სასწავლო გარემო (28 პროფესიულ სტუდენტზე), პრაქტიკული სწავლების მოდულებისათვის: ,,ავადმყოფის მოვლა“ და ,,შინმოვლა“. აკადემიას მდგრადობისთვის ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაწესებულებებთან: ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან“, შპს ,,აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან “ და შპს ,,ჯეო

ჰოსპიტალსთან“ პრაქტიკული სწავლების მოდულებისათვის: ,,ავადმყოფის მოვლა“ და ,,შინმოვლა“. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი B სასწავლო გარემო.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება “ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 1 ქართული ენა A2 და B1 განმახორციელებელი, ზოგადი მოდულები - 7 განმახორციელებელი და დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“ (ქ. საჩხერის ლოკაცია)
ექსპერტის განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი A სასწავლო გარემო (21 პროფესიულ სტუდენტზე), ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ორ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი რაოდენობა. AC სასწავლო გარემო (21 პროფესიულ სტუდენტზე). აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დაწესებულებებთან: სს საჩხერის რაიონის - საავადმყოფო პოლიკლინიკურ გაერთიანებასთან“ პრაქტიკული სწავლების მოდულებისათვის: ,,ავადმყოფის მოვლა“, ,,შინმოვლა“ და შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსთან“ პრაქტიკული სწავლების მოდულის: ,,ავადმყოფის მოვლა“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი B სასწავლო გარემო - კომპიუტერული კლასი (15 პროფესიულ სტუდენტზე). B სასწავლო გარემო საზიაროა 1 პროგრამისთვის (აღმზრდელი), რომლებშიც პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან საშუალოდ ითვისებს 3 კრედიტს. შესაბამისად B სასწავლო გარემოს ერთ ცვლაში დატვირთვა არ აღემატება საშუალოდ 5%-ს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება “ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 1 ქართული ენა A2 და B1 განმახორციელებელი, ზოგადი მოდულები - 6 განმახორციელებელი და დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექპერტს კითხვით, იყო თუ არა რეგიონულ ჭრილში კვლევა ჩატარებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ საჭიროების შესახებ, ვინაიდან ქ. საჩხერის რეგიონისთვის მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა ძალიან ბევრი იყო.

ექსპერტის განცხადებით, რეგიონში კადრები „საექთნო განათლების“ კვალიფიკაციით ძალიან ცოტა იყო. ექსპერტები ეწვივნენ ჭიათურაში მდებარე ჯეოჰოსპიტალს, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენელმაც დაადასტურა რეგიონში კადრების სიმცირე. ასევე, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ დაფიქსირდა კადრების გადინების ფაქტებიც, შესაბამისად, ეს კიდევ უფრო ამწვავებდა მოთხოვნას აღნიშნული პროგრამის მიმართულებით და რეგიონში უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნის. სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ დასაქმდებოდნენ რეგიონში. კოლეჯმა წარმოადგინა სამუშაო ადგილების სტატისტიკა, დასაქმების მაჩვენებელი და მომართვიანობა.

დაწესებულების წარმომადგენლის, ალინა კუპრავას განცხადებით, საჩხერის მერიის და გამგეობის მხრიდან კოლეჯს ეგზავნებოდა წერილები დეფიციტურ პროფესიებთან დაკავშირებით, შესაბამისად, კოლეჯის კვოტის გაზრდის მოთხოვნა მათ ინფორმაციასაც ეფუძნება. ასევე, დაწესებულება ატარებს შრომის ბაზრის კვლევას, ხდება განთავსებული ვაკანსიების დათვალიერება და ასევე, კოლეჯი აქტიურად ახდენს კომუნიკაციას კლინიკებთან. მისი თქმით, ჯეოჰოსპიტალის წარმომადგენელი დაუკავშირდა დაწესებულებას და სთხოვა ხელშეკრულების გაფორმება, პრაქტიკის მათთან გატარება და შემდეგ სტუდენტების დასაქმების უზრუნველყოფა შემოგვთავაზა, შესაბამისად, კადრების საჭიროება მათი მხრიდანაც დასტურდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის, სოფიო მაჭარაშვილის განცხადებით, რეგისტრანტების მხრიდანაც ამჟამინდელი მდგომარეობით მხოლოდ 23 ადგილი ჰქონდა კოლეჯს და 90- მდე აპლიკანტი დარეგისტრირდა. ასევე საჩხერის საავადმყოფო არა მარტო საჩხერის მაცხოვრებლებს ემსახურებოდა, არამედ იმერეთის რეგიონის მაცხოვრებლებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ თბილისში და ქალაქ საჩხერეში „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) ქალაქ თბილისში დანართით განსაზღვრულ "საქთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 168- ით **(დანართი 3).**

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) ქალაქ საჩხერეში დანართით განსაზღვრულ ,,საქთნო განათლების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 126-ით **(დანართი 4).**

მერვე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ საჩხერეში ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მოისწრაფიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2023 წლის 15 ივნისს გამოცემული ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საჩხერეში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელის" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2023 წლის 6 ივლისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ქ. საჩხერეში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. საჩხერეში "აღმზრდელის" სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ რეგიონში აღმზრდელების დეფიციტია, ამასთან 2023 წლის 21 თებერვალს გამოვიდა მთავრობის დადგენილება (76) ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული წესს დანართის სახით ახლავს ,, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები", სადაც მე-4 სტანდარტი 4.1 კომპონენტი ავალდებულებს დაწესებულებებს ჰყავდეთ კვალიფიციური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების დასახული მიზნების მიღწევას და ამით კიდევ უფრო მეტად გაიზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ აღმზრდელებზე, ხოლო მათი მომზადებისთვის რეგიონში დაწესებულება წარმოადგენს ერთადერთ განმახორციელებელს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანებით განისაზღვრა კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულებისაგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით, 2023 წლის პრიორიტეტები, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელებულია სკოლამდელი აღზრდა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური

რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 14, ჯამში 44 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელის“ შეფასებისას, ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აღმზრდელი“ ქ. საჩხერეში ახორციელებს 2019 წლიდან დღემდე. პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული იყო 30 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს რეგიონში აღმზრდელების დეფიციტია, რაც კიდევ უფრო გაიზრდება 2023 წლის 21 თებერვლის მთავრობის N76 დადგენილების აღსრულების პირობებში, ვინაიდან ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ დაწესებულებები ვალდებულები გახდებიან ჰყავდეთ კვალიფიციური პერსონალი, ხოლო მათი მომზადებისთვის რეგიონში საავტორიზაციო დაწესებულება წარმოადგენს ერთადერთ განმახორციელებელს. აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 44 პროფესიული სტუდენტით (ერთ მიღებაზე, ერთი 22 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფის სწავლების პირობით, სულ წელიწადში 22 პროფესიული სტუდენტის, რაც ორი წლის მანძილზე იქნება 44 პროფესიული სტუდენტი). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი A № 9 სასწავლო გარემო (22 პროფესიულ სტუდენტზე) ერთი ცვლის გათვალისწინებით. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი B სასწავლო გარემო - კომპიუტერული კლასი , რომელსაც გამოიყენებენ გაყოფილი ჯგუფებით სწავლებით და დამატებით საათებს აანაზღაურებს დაწესებულება საკუთარი ბიუჯეტიდან. B სასწავლო გარემო საზიაროა 2 პროგრამისთვის (საექთნო განათლება, აღმზრდელი), რომლებშიც პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან საშუალოდ ითვისებს 3 კრედიტს. შესაბამისად B სასწავლო გარემოს ერთ ცვლაში დატვირთვა არ აღემატება საშუალოდ 5%-ს. სასწავლო გარემოები აღჭურვილია როგორც სასწავლო ინვენტარით, ასევე კომპიუტერული და ციფრული საპრეზენტაციო ტექნიკით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. საჩხერის ბაღების გაერთიანებასთან (რომელშიც გაერთიანებულია 21 ბაღი), აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტებს ერთდროულად, ჯამში შეუძლიათ უზრუნველყონ კვოტით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების მიღება.

ექსპერტის განცხადებით, აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ

წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, ხომ არ დაინტერესებულა პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემით, როგორ ხდებოდა და როგორი სახის პროექტებს ამზადებდა სტუდენტი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იყო, ფაქტიურად ყველა სწავლის შედეგი შეფასებულიყო კომბინირებულად და საინტერესოა, თუ როგორ ხდებოდა ეს, და ასევე ხომ არ ინერგება მათი პრაქტიკული პროექტები უკვე რეალურ გარემოში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, პროფესიული სტუდენტები წარმოადგენდნენ პრეზენტაციებს და პრაქტიკული პროექტის შემდეგ ძირითადად ხდებოდა კონკრეტული ქეისების მომზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ალინა კუპრავამ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ ფოტომასალაშიც ჩანდა სტუდენტების ნამუშევრები და ამის მიღმა იყო კიდევ ძალიან ბევრი დღის გეგმები, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის მომზადებული აქტივობები და თვალსაჩინო მასალები. მისი თქმით, პრაქტიკულ კომპონენტზე არის ძირითადი აქცენტი გაკეთებული. ბოლო მოდული ერთიანად კრავდა ყველაფერს და კეთდებოდა ერთიანი პროექტის სახით. სიმულაციურად ბაღიც იყო გაკეთებული, ოთახი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის თავისი გასართობი და სხვადასხვა სივრცეებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო ხომ არ გამოიყენებოდა რომელიმე ბაღში.

ექსპერტის განცხადებით, პრაქტიკის ობიექტის დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტები დაყოფილი იყო პატარ-პატარა ჯგუფებად და მიმაგრებულიყო სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სტუდენტების ნამუშევრები, დღის გეგმები და გამოიკვეთა, რომ ყველაფერში იღებდნენ მონაწილეობას. მისი თქმით, აღმზრდელის განმახორციელებელი პირი უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტების ადგილზე პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, როდესაც პრაქტიკული პროექტის დაცვა ხდებოდა, ვინ იყვნენ კომისიის წევრები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კომისიის წევრებს წარმოადგენდნენ ბაღში დასაქმებული ადამიანები და ისეთი პირებიც, ვინც არ იყო ამ კონკრეტული მოდულის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითებთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო მათი შრომის შედეგების დანახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ქალაქ საჩხერეში „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) ქალაქ საჩხერეში დანართით განსაზღვრულ ,,აღმზრდელის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 44-ით **(დანართი 5).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:36 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	168
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	საჩხერე, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	126
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146